ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13221513**
თარიღი:**31/05/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, პირობებით, იჯარის ფორმით 5 (ხუთი) წლის ვადით - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქალაქ ახალციხე, მერაბ კოსტავას ქუჩა N 11-ის მიმდებარედ, ფართობი: 225,00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი 62.09.58.141, გადასცეს ქალაქ ახალციხეში, კოსტავას ქ.N10-ში რეგისტრირებულ შპს „ლომსია“-ს (ს/კ 424253220) ღია ტერასის მოსაწყობად, სასტუმროს ვიზიტორთა და ბარგის ტრანსპორტირების მიზნით (შპს „ლომსია“-ს (ს/კ 424253220), რეგისტრირებული ქალაქ ახალციხეში, კოსტავას ქ. N 10-ში, დირექტორის ამირან ქიმერიძის 2022 წლის 14 აპრილის N 10/122210448-12 მომართვა).

2. შპს „ლომსია“-მ (ს/ნ 424253220) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ღია ტერასის მოსაწყობად, სასტუმროს ვიზიტორთა და ბარგის ტრანსპორტირების მიზნით.

3. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2022 წლის 19 მაისის №210 აუდიტორული დასკვნა), 225 კვადრატულ მეტრზე 450,00 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ᵇ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი